



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 66

იანვარი / 2026

ადგილობრივი პრაეტიკის ადაპტირება აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამასთან

აჭარის მაღალმთიან რეგიონში ისტორიულად ცნობილია, რომ მოსახლეობა უმეტესად წყალმომარაგებისთვის ზედაპირული წყლის წყალობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიებისთვის ზედაპირული წყლების გამოყენება იქნა არჩეული, როგორც ყველაზე მდგრადი და გარემოსთან თავსებადი გადაწყვეტა.



ზედაპირული წყლის მოპოვება მდინარეებიდან და მთის ნაკადულებიდან მოხდება, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებების დაკამაყოფილებაში და სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში.

მაღალი ხარისხის წყლის მოსახლეობამდე უსაფრთხოდ და უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად, საინჟინრო დოკუმენტაცია მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექნიკური და გარემოსდაცვითი დეტალის გათვალისწინებით.

საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებამდე, ზედაპირული წყლების მდგრადი შესაფასებლად სეზონის სხვადასხვა ეტაპზე ჩატარდა წყლის წარმადობის ტესტები.



ამ პროცესში შეფასდა წყაროების სეზონური სტაბილურობა და განისაზღვრა მათი ვარგისიანობა მთელი წლის განმავლობაში გამოსაყენებლად.

წყლის სათავე ნაგებობის გავლის შემდგომ წყალი შეგროვდება და დაექვემდებარება ლაბორატორიულ კვლევას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წყალი დამუშავდება სასმელი წყლის სტანდარტამდე. აღნიშნული პროცესი განხორციელდება წყლის სათავე ნაგებობაზე, პროექტის ტექნიკური გადაწყვეტის მიხედვით. დამუშავების შემდეგ მოხდება წყლის დეზინფექცია და მოსახლეობისთვის მიწოდება.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კუსტარულად მოწყობილი წყალმომარაგების სისტემები სოფლებში არამდგრადია, ვერ უზრუნველყოფს წყლის 24-საათიან მიწოდებას და ზამთრის პერიოდში მოწყვლადია გაყინვისა და დაზიანების მიმართ.

პროგრამა აღნიშნულ გამოწვევებს პასუხობს ყველა ობიექტისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვით, უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფით და მიღლადენების გაყინვის დონის ქვემოთ განთავსებით, რაც სისტემას იცავს დაზიანებისა და სეზონური შეფერხებებისგან. ამ მიდგომის შედეგად, შესაძლებელია წყლის ონკანების დაკეტვა სისტემაში წყლის გაყინვის გარეშე.

აჭარის მაღალმთიანი სოფლებისთვის იქმნება თანამედროვე წყალმომარაგების სისტემები, რაც ხელს უწყობს გარემოს დაცვას, აუმჯობესებს სანიტარულ პირობებს და მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

იფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანმშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხელო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



**Funded by
the European Union**



KFW



**აჯარის წყლის
აღსანიშ**

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 66

January / 2026

ADAPTING LOCAL PRACTICES TO THE AJARA RURAL WATER SUPPLY AND WASTEWATER PROGRAM

In the highland region of rural Ajara, it has historically been recognized that the population primarily relies on surface water sources for its water supply. Taking local practices, the Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program determined that the usage of surface water in the project area villages as the most sustainable and environmentally compatible solution.



Surface water will be abstracted from rivers and mountain streams, playing a significant role in meeting the daily needs of the local population and improving access to clean and reliable water.

To ensure the safe and continuous delivery of high-quality water supply to the population, the engineering documentation was prepared with careful consideration of several key technical and environmental factors. Prior to the development of the project documentation, water yield tests were conducted at different stages of the season to assess the sustainability of surface water sources. This process evaluated the seasonal stability of the sources and determined their suitability for use throughout the year.



Following the water intake, the water will be collected and subjected to laboratory testing. In accordance with Georgian legislation, it will be treated to meet drinking water standards. This process will be carried out at a water treatment facility, depending on the project's technical design. The treated water will then be disinfected and supplied to the population.



It is important to note that self-constructed water supply systems in villages are unsustainable, do not ensure 24-hour water supply, and are often vulnerable to freezing or destruction during winter times. The Program addresses these challenges by appropriate technologies for all facilities and ensuring continuous water supply and installing pipelines below the freezing line, thereby protecting the system from damage and seasonal disruptions. By doing so, water taps can be closed without the water freezing in the system.

Modern water supply systems are being established for the highland villages of Ajara, contributing to environmental protection, improving sanitary conditions, and significantly enhancing the quality of life of the local population.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER

GITEC
CONSULT GMBH

IRC
Supporting water sanitation
and hygiene services for life



IGIP

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.